C152	14/8/2018	14/8/2023	რეფ+4%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	-	193,646
C180	14/7/2020	14/7/2024	რეფ+4%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	85,444	132,971
C181	31/7/2020	31/7/2023	რეფ+4%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	-	334,918
C184	9/7/2020	9/7/2023	რეფ+3.75%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	-	582,189
C187	14/9/2020	9/7/2023	რეფ+3.75%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	-	851,744
N 6830908	18/9/2020	18/9/2023	საბაზისო+2%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	-	384,151
N 7691756	15/10/2021	13/9/2024	13%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	569,096	608,903
N 7605436	17/9/2021	17/9/2024	13%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	380,715	406,512
N 7176556	7/12/2021	7/12/2028	ლიბორ+6.4%	თვიურად	თვიურად	კი	დოლარი	-	-
C177	31/1/2020	31/1/2027	რეფ+7%	წელიწადში ორჯერ	წელიწადში ორჯერ	არა	დოლარი	1,872,488	-
C189	12/11/2021	7/11/2028	რეფ+7%	წლიურად	წლიურად	არა	დოლარი	424,214	67,550
C194	9/2/2021	9/2/2024	რეფ+3%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	1,145,320	1,274,680
C196	13/9/2021	9/2/2024	რეფ+3%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	1,041,200	1,158,800
C198	16/9/2021	9/2/2024	რეფ+3%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	95,601	106,399
C199	20/10/2021	20/10/2025	რეფ+3%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	141,392	64,393
C204	24/8/2022	24/8/2025	რეფ+3%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	3,500,000	-
C205	12/9/2022	24/8/2022	რეფ+3%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	2,000,000	-
C209	20/9/2022	24/8/2025	რეფ+3%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	1,100,000	-
C210	10/10/2022	10/10/2026	რეფ+3%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	641,426	172,789
<b>სულ მიღებული სესხის ძირი</b>								<b>12,996,896</b>	<b>6,339,645</b>
<b>გადასახდელი პროცენტი</b>								-	341,135
<b>სულ მიღებული სესხები</b>								<b>12,996,896</b>	<b>6,680,780</b>

სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(ქართულ ლარში)

მიღებული სესხები 2021 წლის 31 დეკემბრისთვის ნაჩვენებია ქვემოთ::

N	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირის გადახდა	პროცენტის გადახდა	თან. დაფ.	ვალუტა	გრძელვად. ნაწილი	მოკლევად. ნაწილი
C136	13/2/2018	13/2/2023	რეფ+4.75%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	-	6,681
C152	14/8/2018	14/8/2023	რეფ+4%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	193,646	265,175
C180	14/7/2020	14/7/2024	რეფ+4%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	218,416	117,721
C181	31/7/2020	31/7/2023	რეფ+4%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	334,918	527,881
C184	9/7/2020	9/7/2023	რეფ+3.75%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	582,189	625,283
C187	14/9/2020	9/7/2023	რეფ+3.75%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	851,744	1,023,256
C199	20/10/2021	20/10/2025	რეფ+3%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	68,419	61,455
C173	30/8/2019	30/8/2022	რეფ+5.75%	თვიურად	თვიურად	არა	ევრო	-	62,169
6839898	18/9/2020	18/9/2023	საბაზისო+2%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	384,153	421,220
7691756	15/10/2021	13/9/2024	13%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	1,178,000	322,000
7605436	17/9/2021	17/9/2024	13%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	787,227	212,773
7176556	7/12/2021	7/12/2028	ლიბორ+6.4%	თვიურად	თვიურად	კი	დოლარი	1,356,542	193,880
C177	31/1/2020	31/1/2027	რეფ+7%	წელიწადში ორჯერ	წელიწადში ორჯერ	არა	დოლარი	2,709,210	-
C189	12/11/2021	7/11/2028	რეფ+7%	წლიურად	წლიურად	არა	დოლარი	563,762	71,246
C194	9/2/2021	9/2/2024	რეფ+3%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	2,420,000	-
C196	13/9/2021	9/2/2024	რეფ+3%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	2,200,000	-
C198	16/9/2021	9/2/2024	რეფ+3%	თვიურად	თვიურად	კი	ლარი	202,000	-
<b>სულ მიღებული სესხის ძირი</b>								<b>14,050,226</b>	<b>3,910,740</b>
<b>გადასახდელი პროცენტი</b>								-	267,273
<b>სულ მიღებული სესხები</b>								<b>14,050,226</b>	<b>4,178,013</b>

**სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“**  
**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**  
**2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**  
**(ქართულ ლარში)**

ყველა მიღებული სესხი უზრუნველყოფილია სასაქონლო მატერიალური მარაგებით, საინვესტიციო ქონებითა და ძირითადი საშუალებებით (უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-7, მე-8 და მე-9 განმარტებით შენიშვნებში).

საპროცენტო ხარჯმა 2022 წელს შეადგინა 1,913,788 ლარი. ჯგუფმა ასევე მიიღო საპროცენტო თანადაფინანსება სახელმწიფოსგან. ამ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი 1,116,964 ლარი დაფინანსებულია სახელმწიფოს მიერ.

სესხებში განხორციელებული ფულადი და არაფულადი ცვლილებები, რომლებიც მიღებულია ფინანსური აქტივობების შედეგად, შესაძლოა წარმოდგენილი იქნეს შემდეგნაირად:

	<b>2022</b>	<b>2021</b>
<b>ნაშთი წლის დასაწყისში</b>	<b>18,228,239</b>	<b>19,676,828</b>
ფულადი ნაკადები	(234,778)	(3,468,412)
<b>წმინდა ფულადი ნაკადები:</b>		
დარიცხული საპროცენტო ხარჯი	2,166,091	1,443,604
საკურსო სხვაობის ეფექტი	(481,876)	576,219
<b>ნაშთი წლის ბოლოს</b>	<b>19,677,676</b>	<b>18,228,239</b>

**14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

	<b>31 დეკემბერი 2022</b>	<b>31 დეკემბერი 2021</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>		
სავაჭრო ვალდებულებები	2,883,106	2,746,202
გადასახდელი ხელფასები	88,433	11,999
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>2,971,539</b>	<b>2,758,201</b>
<b>არაფინანსური ვალდებულებები</b>		
გადასახდელი დივიდენდები	4,000,063	4,617,055
მიღებული ავანსები	32,491	80,903
<b>სულ არაფინანსური ვალდებულებები</b>	<b>4,032,554</b>	<b>4,697,958</b>
<b>სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</b>	<b>7,004,093</b>	<b>7,456,159</b>

**15. საგადასახადო ვალდებულებები**

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად, აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მომავალ პერიოდში მოგების განაწილების შედეგად, არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

საგადასახადო ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოადგენდა 940,667 ლარს (2021: 477,134 ლარი).

ჯგუფის მოგების გადასახადმა საანგარიშგებო პერიოდში შეადგინა 1,235,935 ლარი (2021: 637,851 ლარი).

სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(ქართულ ლარში)

16. შემოსავალი

	2022	2021
ექსპორტიდან	29,264,014	38,029,883
ადგილობრივი გაყიდვებიდან	13,469,812	9,670,475
<b>სულ შემოსავლები</b>	<b>42,733,826</b>	<b>47,700,359</b>

შემოსავლები პროდუქტების მიხედვით:	2022	2021
ჩამოსხმული ბრენდი	33,620,252	36,864,002
ბრენდის სითხე	6,348,346	6,555,347
ძლიერი ალკოჰოლური სასმელი	2,452,362	3,906,074
სხვა	312,866	374,936
<b>სულ შემოსავლები პროდუქტების მიხედვით</b>	<b>42,733,826</b>	<b>47,700,359</b>

შემოსავლები ექსპორტიდან ქვეყნების მიხედვით:	2022	2021
რუსეთი	10,338,598	13,023,065
ბელარუსი	7,255,183	7,301,673
უკრაინა	3,408,877	8,258,446
ყაზახეთი	4,622,395	3,559,985
პოლონეთი	780,326	865,585
სხვა	2,858,635	5,021,130
<b>სულ შემოსავლები ექსპორტიდან ქვეყნების მიხედვით</b>	<b>29,264,014</b>	<b>38,029,883</b>

17. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2022	2021
ექსპორტისთვის	15,234,428	19,128,565
ადგილობრივი გაყიდვებისთვის	5,816,724	3,337,112
<b>სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება</b>	<b>21,051,152</b>	<b>22,465,677</b>

თვითღირებულება რეალიზებული პროდუქციის მიხედვით:	2022	2021
ჩამოსხმული ბრენდი	16,151,506	17,606,974
ბრენდის სითხე	2,658,648	1,926,351
ძლიერი ალკოჰოლური სასმელი	1,859,223	2,569,412
სხვა	381,775	362,940
<b>სულ თვითღირებულება რეალიზებული პროდუქციის მიხედვით</b>	<b>21,051,152</b>	<b>22,465,677</b>

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების კომპონენტები:	2022	2021
მარაგები	19,702,182	20,843,539
ხელფასები	778,585	937,487
ცვეთა და ამორტიზაცია	570,385	684,651
<b>სულ თვითღირებულება რეალიზებული პროდუქციის კომპონენტების მიხედვით</b>	<b>21,051,152</b>	<b>22,465,677</b>

სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(ქართულ ლარში)

18. სხვა შემოსავალი

	2022	2021
საიჯარო შემოსავლები	953,630	789,774
ეთილის სპირტის რეალიზაცია	366,846	183,044
ბოთლებისა და შესაფუთი მასალების გაყიდვა	212,444	162,146
სხვა საოპერაციო შემოსავალი	103,736	173,327
<b>სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი</b>	<b>1,636,656</b>	<b>1,308,291</b>

19. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	2,455,043	3,147,153
მიმდინარე რემონტისა და შეკეთების ხარჯები	471,700	920,773
ცვეთა და ამორტიზაცია	1,007,058	836,888
კომუნალური ხარჯები	243,552	388,810
ქონების გადასახადი	169,834	213,533
პროფესიული და სხვა საკონსულტაციო მომსახურება	207,197	203,624
მივლინების და წარმომადგენლობითი ხარჯები	186,188	169,216
უსაფრთხოების ხარჯები	93,915	147,376
ვენახის მოვლის ხარჯები	18,478	140,177
ტრანსპორტის ხარჯები	162,023	101,425
საოფისე ხარჯები	68,540	75,075
ბანკის მომსახურება	48,814	68,635
კომუნიკაცია	40,290	61,160
მოკლევადიანი იჯარის ხარჯები	95,240	60,055
დაზღვევა	23,518	32,211
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	232,318	292,722
<b>სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები</b>	<b>5,523,708</b>	<b>6,858,833</b>

\*პროფესიული და სხვა საკონსულტაციო მომსახურება 2022 და 2021 წლებისთვის შესაბამისად მოიცავს აუდიტის მომსახურების ხარჯს 40,028 ლარის და 38,207 ლარის ოდენობით.

20. გაყიდვის დანახარჯები

	2022	2021
საბროკერო ხარჯები	2,652,130	2,696,269
სარეკლამო ხარჯები	667,152	883,001
ტრანსპორტირების ხარჯები	565,862	473,603
ხელფასის ხარჯი	612,076	471,112
პროფესიული ხარჯები	62,937	92,620
სხვა გაყიდვის დანახარჯები	116,423	118,317
<b>სულ გაყიდვის დანახარჯები</b>	<b>4,676,580</b>	<b>4,734,922</b>

21. პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები - 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ აქვს მიმდინარე სასამართლო პროცესი და დავა. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საბოლოო ვალდებულებას, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას აქტივობებიდან ან საჩივრებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და სამომავლო ოპერაციებზე. ზემოხსენებულიდან გამომდინარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებულა ანარიცხი.

**სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(ქართულ ლარში)**

გადასახადები - საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ ჯგუფის ბოლო სამი წლის მონაცემების შემოწმება.

ანგარიშგების თარიღისთვის ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი არ დაფიქსირებულა და ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მხარეებს შორის შეთანხმებული საკონტრაქტო ვალდებულების შეუსრულებლობის ალბათობა დაბალია. შესაბამისად, ანარიცხი არ შეუქმნია.

**22. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება**

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

მენეჯმენტი თვლის, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის არ არის არსებითი სხვაობა.

**23. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა**

სხვა კომპანიების მსგავსად, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად ჯგუფი დგება სხვადასხვა რისკის წინაშე. ეს შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომ მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდური ან მოკლევადიანია (სამ თვემდე ვადით), ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

**ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები**

ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ჯგუფის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ.

საქმიანობის პროცესში ჯგუფი დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
  - სავალუტო რისკი

სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(ქართულ ლარში)

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

**საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე ჯგუფი დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშვება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს ჯგუფისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. ჯგუფს შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც, თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
<b>ფინანსური აქტივები</b>		
ფული და ფულის ექვივალენტები	3,732,452	1,975,120
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,230,550	13,640,172
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>13,963,002</b>	<b>15,615,292</b>

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას. ფინანსური მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი მოცემულია მე-10 განმარტებით შენიშვნაში.

**ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშვება ჯგუფის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ ჯგუფი აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს ჯგუფის მიმდინარე ოპერაციებზე და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას. ჯგუფის ოპერაციები ძირითადად ფინანსდება იმ კაპიტალის და სახსრების მეშვეობით, რომლებიც გააჩნიათ მფლობელებს.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ლიკვიდურობა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ 2022
<b>ფინანსური აქტივები</b>				
ფული და ფულის ექვივალენტები	3,732,452	-	-	3,732,452
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,230,550	-	-	10,230,550
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>13,963,002</b>	-	-	<b>13,963,002</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>				
მიღებული სესხები	6,680,780	12,896,922	99,974	19,677,676
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,971,539	-	-	2,971,539
საგადასახადო ვალდებულებები	940,667	-	-	940,667
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>10,592,986</b>	<b>12,896,922</b>	<b>99,974</b>	<b>23,589,880</b>
<b>ლიკვიდურობის პოზიცია</b>	<b>3,370,016</b>	<b>(12,896,922)</b>	<b>(99,974)</b>	<b>(9,626,880)</b>

სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(ქართულ ლარში)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ლიკვიდურობა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ 2022
<b>ფინანსური აქტივები</b>				
ფული და ფულის ექვივალენტები	1,975,120	-	-	1,975,120
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,640,172	-	-	13,640,172
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>15,615,292</b>	-	-	<b>15,615,292</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>				
მიღებული სესხები	4,178,013	9,420,712	4,629,514	18,228,239
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,758,201	-	-	2,758,201
საგადასახადო ვალდებულებები	477,134	-	-	477,134
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>7,413,348</b>	<b>9,420,712</b>	<b>4,629,514</b>	<b>21,463,574</b>
<b>ლიკვიდურობის პოზიცია</b>	<b>8,201,944</b>	<b>(9,420,712)</b>	<b>(4,629,514)</b>	<b>(5,848,282)</b>

ზემოთ აღნიშნული ლიკვიდურობის პოზიცია ჯგუფის საოპერაციო საქმიანობისთვის არის დამახასიათებელი და არ წარმოადგენს საფრთხეს ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპს.

**საბაზო რისკი**

საბაზო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტური, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

**სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ჯგუფი ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	დოლარი	ევრო	2022
<b>ფინანსური აქტივები</b>				
ფული და ფულის ექვივალენტები	3,146,610	528,599	57,243	3,732,452
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,077,995	2,821,105	1,331,450	10,230,550
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>9,224,605</b>	<b>3,349,704</b>	<b>1,388,693</b>	<b>13,963,002</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>				
მიღებული სესხები	17,271,716	2,405,960	-	19,677,676
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,290,224	315,736	365,579	2,971,539
საგადასახადო ვალდებულებები	940,667	-	-	940,667
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>19,561,940</b>	<b>2,721,696</b>	<b>365,579</b>	<b>22,649,215</b>
<b>ღია საბალანსო პოზიცია</b>	<b>(10,337,335)</b>	<b>628,008</b>	<b>1,023,114</b>	



სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(ქართულ ლარში)

სავალუტო რისკის ზეგავლენა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	დოლარი	ევრო	2021
<b>ფინანსური აქტივები</b>				
ფული და ფულის ექვივალენტები	219,276	1,454,784	301,060	1,975,120
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,720,290	9,179,892	739,989	13,640,171
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>3,939,567</b>	<b>10,634,676</b>	<b>1,041,049</b>	<b>15,615,292</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>				
მიღებული სესხები	13,253,246	4,912,786	62,207	18,228,239
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,678,585	487,334	592,282	2,758,201
საგადასახადო ვალდებულებები	477,134	-	-	477,134
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>14,931,831</b>	<b>5,400,120</b>	<b>654,489</b>	<b>20,986,440</b>
<b>ღია საბალანსო პოზიცია</b>	<b>(10,992,265)</b>	<b>5,234,556</b>	<b>386,560</b>	

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებს და აკორექტირებს მათ წლის ბოლოს უცხოური ვალუტის კურსის 20% -იანი ცვლილების პირობებში.

	ლარი/დოლარი +20%	ლარი/დოლარი - 20%	ლარი/ევრო +20%	ლარი/ევრო -20%
2022 წლის 31 დეკემბერი	125,602	(125,602)	204,623	(204,623)
2021 წლის 31 დეკემბერი	1,046,911	(1,046,911)	77,312	(77,312)

ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, მაგალითად საპროცენტო განაკვეთი, უცვლელია.

### საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

ჯგუფი დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან მას მიღებული აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხები. 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიერ აღებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები დენომინირებულია ლარში და მათი მოცულობა შესაბამისად შეადგენს 17,621,250 ლარს და 15,460,966 ლარს.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, არაწარმოებული ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართ არსებული რისკის საფუძველზე. ცვალეზადი განაკვეთის ვალდებულებების შეთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტთან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმადლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონივრულობის ფარგლებში.

**სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“**  
**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**  
**2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**  
**(ქართულ ლარში)**

საპროცენტო განაკვეთის მგრძობელობა 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022		31 დეკემბერი 2021	
	პროცენტის ზრდა 1 %-ით	პროცენტის შემცირება 1 %-ით	პროცენტის ზრდა 1 %-ით	პროცენტის შემცირება 1 %-ით
<b>დაბეგვრა მოგება/(ზარალი)</b>				
<b>დაბეგვრამდე და კაპიტალზე</b>	(20,658)	20,658	(19,474)	19,474

**კაპიტალის მართვა**

ჯგუფის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა ისე, რომ ჯგუფმა გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა;
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება დამფუძნებლებისთვის.

ჯგუფი რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. ჯგუფი მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, ჯგუფმა შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

**24. დაკავშირებული მხარეები**

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ ორგანიზაციისთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც „ანგარიშვალდებული საწარმო“).

ა) პიროვნება ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

- (I) ეს პიროვნება აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის; ან
- (II) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან
- (III) არის ანგარიშვალდებული ორგანიზაციის ან მისი სათავო ორგანიზაციის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (I) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო ორგანიზაციის სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
- (II) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (III) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ ორგანიზაციის;
- (IV) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მკავშირე საწარმოა;

(V) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებულ ორგანიზაციისთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ მომუშავეთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი.

**სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“**  
**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**  
**2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**  
**(ქართულ ლარში)**

თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;

- (VI) ამ ორგანიზაციის აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პიროვნება;
- (VII) (ა) (ი) პუნქტში მითითებულ რომელიმე პიროვნებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პიროვნება არის ზემოაღნიშნული ორგანიზაციის (ან მისი სათავო ორგანიზაციის) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (VII) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის სათავო ორგანიზაციისთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

<b>ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება</b>	<b>მფლობელები</b>	<b>სხვა დაკავშირებული მხარეები</b>
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	210,719	271,487
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13,457	1,374,796
ინვესტიციები ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში	-	11,603,832
<b>სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება</b>		
შემოსავლები	20,529	1,195,848
სხვა შემოსავლები	-	67,771

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

<b>ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება</b>	<b>მფლობელები</b>	<b>სხვა დაკავშირებული მხარეები</b>
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	151,658	1,002,000
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,329	1,362,148
ინვესტიციები ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში	-	10,688,333
<b>სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება</b>		
შემოსავლები	5,426	1,137,650
სხვა შემოსავლები	-	150,399

	<b>2022</b>	<b>2021</b>
კომპენსაცია მფლობელებსა და მენეჯმენტს	671,418	772,730

სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილი“  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(ქართულ ლარში)

#### 25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მნიშვნელოვან მოვლენებს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ამ ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე ადგილი არ ჰქონია.



SINCE 1884

**SARAJISHVILI**

ს ა რ ა ქ ი შ ვ ი ლ ი

# ს.ს. სარაქიშვილი

კონსოლიდირებული მართვებლოებითი  
ანგარიშგება

2022 წელი

# შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება	1
ჩვენ შესახებ	2
პროდუქტები	4
ფინანსური მაჩვენებლები	6
ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	9
სავალდებულო სატენდერო შეთავაზებების შემთხვევაში აუცილებელი ინფორმაციის მიმოხილვა	9
ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში	9
კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები	10
კორპორაციული მართვა	10
სარეალიზაციო ბაზრები	15
კორპორაციული მართვის კოდექსის და პრაქტიკის მიმოხილვა და გადახვევები კორპორაციული მართვის კოდექსიდან	16
ძირითადი რისკები და გაურკვეველობები	16
რისკების მართვა	17
აუდიტის მოსაზრების მოდიფიცირების საფუძვლები	17
ანგარიშების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები	18

# დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება



RSM Georgia

85, Z. Palashvili str  
Tbilisi 0102, Georgia

T +995 (32) 255 88 99  
F +995 (32) 255 88 99

www.rsm.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაში

სა ხარაქმეულის აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

ჩვენ ჩავატარეთ ინდარაველა 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საინვარშტო პერიოდის მმართველობის ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ზღვალტრული აღრიცხვის ანგარიშებს და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებით პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიყავს თავლითობით ამ შეფუთვით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოხილვით მმართველობის ანგარიში და გამოვთქვამთ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრითია 2022 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებსთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობის ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრით კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებსა და ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოყენებულ დასკვნაში, ჩვენს მიერ შეტრულებული სამუშაო შეზღოვარებულა მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკვლევით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობის და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის შეფარებით და ინსპექციის განსახილველად, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მოწოდდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განვცხადებთ რაიმე სახის მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგული კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვქვეყნებთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგული შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

შვენი წატარებული მიმოხილვის საფუძველზე:

- ჩვენი ყრადღება არ მოექცევა ფაქტებს რაც დაგვიარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ არის თანხვედრითი აუდიტორებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებსთან ან არ არის შესაბამისი ზღვალტრული აღრიცხვის, ანგარიშების და აუდიტის საძაროველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის გ და მ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან ვვლდა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გარდა 2023 წლის 7 აგვისტოს გამოყენებული აუდიტის დასკვნის პირობითი მოსაზრების საფუძველის ახსნაში ასახული საკითხებისა.
- ჩვენი ყრადღება არ მოექცევა ფაქტებს რაც დაგვიარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ მოიყავს ზღვალტრული აღრიცხვის, ანგარიშების და აუდიტის საძაროველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“-ს ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „არტემ საძაროველო“ სახელით  
გარიგების პარტნიორი: შაბა მუხომიძე  
2023 წლის 7 აგვისტო

RSM Georgia  
S. Gvishvili

THE POWER OF BEING UNDERSTOOD  
AUDIT | TAX | CONSULTING

საქართველო



# ჩვენ შესახებ

ს.ს. სარაჯიშვილი საქართველოში ღვინის ბრენდისა და მაგარი ალკოჰოლური სასმელების უძველესი კომპანიაა, რომელიც დაარსებიდან 137 წელს ითვლის. ფირმა 1884 წელს ქართველმა მეცნიერმა და მეცენატმა დავით სარაჯიშვილმა დააფუძნა. მისი მმართველობის პერიოდში ქართულმა ღვინის ბრენდმა, რომელიც იმ დროისათვის ქართული კონიაკის სახელით იყო ცნობილი, აღიარება მოიპოვა როგორც რეგიონალურ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე.



საბჭოთა პერიოდში დავით სარაჯიშვილის კონიაკის ქარხანა სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა და „თბილისის კონიაკის ქარხანა“ ეწოდა. 1994 წლიდან კომპანია გადავიდა კერძო მფლობელობაში, ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოება და სარაჯიშვილის სახელი დაიბრუნა.









# კლასიკური ხაზი



# LUXURY ხაზი



# ფინანსური მაჩვენებლები

სს სარაჯიშვილი და შვილობილი კომპანიები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრისთვის


(ქართულ ლარში)

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
<b>აქტივები</b>		
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>		
ძირითადი საშუალებები	23,705,158	24,013,959
საინვესტიციო ქონება	6,501,663	6,391,444
არამატერიალური აქტივები	157,265	180,422
ინვესტიცია ერთობლივ და მკავშირე საწარმოებში	11,603,832	10,688,333
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>	<b>41,967,918</b>	<b>41,274,158</b>
<b>მიმდინარე აქტივები</b>		
სასაქონლო მატერიალური მარაგები	44,602,115	40,555,334
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12,677,921	14,809,059
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,732,452	1,975,120
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>	<b>61,012,488</b>	<b>57,339,513</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>102,980,406</b>	<b>98,613,671</b>
<b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>		
<b>კაპიტალი</b>		
საწესდებო კაპიტალი	10,353,989	10,354,000
გაუნაწილებელი მოგება	65,003,981	62,098,139
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>75,357,970</b>	<b>72,452,139</b>
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		
მიღებული სესხები	12,996,896	14,050,226
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>	<b>12,996,896</b>	<b>14,050,226</b>
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>		
მიღებული სესხები	6,680,780	4,178,013
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,004,093	7,456,159
საგადასახადო ვალდებულებები	940,667	477,134
<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>	<b>14,625,540</b>	<b>12,111,306</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>27,622,436</b>	<b>26,161,532</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>	<b>102,980,406</b>	<b>98,613,671</b>




2022 წელს სს სარაჯიშვილი და შვილობილი კომპანიების მიერ რეალიზებული პროდუქციის ღირებულებამ 42,7 მლნ. ლარი შეადგინა. ეს მაჩვენებელი 10%-ით ნაკლებია წინა წლის გაყიდვებზე. 2018 და 2019 წლებში შემოსავლები პროდუქციის რეალიზაციიდან დინამიურად იზრდებოდა, ხოლო 2020 წელს COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებით მოხდა რეალიზაციის შემცირება. 2021 წელს COVID-19 პანდემიის უარყოფითი ეფექტის შესუსტების შედეგად მოხდა შემოსავლების ზრდა. 2022 წელს უკრაინაში დაწყებული ომის გამო მოხდა რეალიზაციის შემცირება, რომლის ეფექტი ესლაც გრძელდება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის ალკოჰოლური სასმელების რეალიზაცია ბოლო ოთხი წლის განმავლობაში.

### ცხრილი#1



2022 წელს საერთო მოგება 21,7 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო წმინდა მოგებამ - 9,3 მლნ ლარი. შესაბამისად საანგარიშო პერიოდში საერთო მოგების მარჟა 51%, ხოლო წმინდა მოგების მარჟა 22% დაფიქსირდა. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში წმინდა მოგება 0,3-ით, ხოლო საერთო მოგება 0,1-ით შემცირდა. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია საერთო და წმინდა მოგება ბოლო 4 წლის განმავლობაში.

### ცხრილი#2













კომპეტენციას განეკუთვნება. საზოგადოების ხელმძღვანელობა ევალებათ გენერალურ, ადმასრულებელ და ფინანსურ დირექტორებს, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება კი გენერალურ და ადმასრულებელ დირექტორებს.

დირექტორები ინიშნებიან და თავისუფლდებიან სამუშაოდან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. სამეთვალყურეო საბჭო არჩეულია აქციონერთა საერთო კრების მიერ 2 წლის ვადით და შედგება 4 წევრისგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან საბჭოს სხდომაზე არჩეულია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და შიდა აუდიტის კომიტეტი, რომელიც შედგება 2 წევრისგან. დირექტორთა საბჭოს სხდომები იმართება ყოველთვიურად, არანაკლებ 2 სხდომისა თვეში. დირექტორთა საბჭოზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას აკონტროლებს ადმასრულებელი დირექტორი.


სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები იმართება საჭიროების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ ერთი სხდომისა ყოველკვარტალურად. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს 4 სხდომა. სამეთვალყურეო საბჭოს შიდა აუდიტის კომიტეტმა საანგარიშო პერიოდში შეისწავლა 4 საკითხი. შიდა აუდიტის კომიტეტის ნახევარწლიური და წლიური მუშაობის შესახებ ინფორმაციები განხილულ იქნა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე და იგი გადაეცა დირექტორატს.

საზოგადოების აქციონერებს საზოგადოების მიმართ აქვთ უფლებათა ერთობლიობა, რომელთა შესრულებასა და დაცვას უზრუნველყოფს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო და კომპანიის გენერალური დირექტორი. აქციონერთა საერთო კრება წარიმართება იმგვარად, რომ ყველა აქციონერმა შეძლოს საკუთარი აზრის დაფიქსირება. ხმების დათვლა ხორციელდება გამჭვირვალედ და თითოეული მიღებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი აისახება კრების ოქმში. აქციონერებს უფლება აქვთ მიიღონ წმინდა მოგების ნაწილი დივიდენდის სახით. კომპანია ვალდებულია იღებს გადაიხადოს გაცხადებული დივიდენდები აქციონერთა საერთო კრების მიერ დადგენილ ფარგლებში შესაბამისი პერიოდულობით.




# სარეალიზაციო ბაზრები

2022 წლის გაყიდვებში 32% ადგილობრივ, ხოლო 68% საექსპორტო ბაზრებს ეკავა. საანგარიშო პერიოდში კომპანიის პროდუქცია 20 საექსპორტო ქვეყანაში იყო წარმოდგენილი.



2022 წელს ოთხი უმსხვილესი საექსპორტო ბაზარი იყო: რუსეთი, ბელარუსი, ყაზახეთი, უკრაინა და პოლონეთი. ამ ქვეყნების საერთო წილმა ექსპორტის 90% შეადგინა.



სხვა ქვეყნებიდან აღსანიშნავია ისრაელი, უზბეკეთი, ჩეხეთი, ლატვია, სერბეთი.





საბრენდე სპირტის წარმოების მიზნით მარაგებისა და საწარმოო დანადგარების შესაძენად, ჯგუფმა მიიღო სახელმწიფო გრანტი სესხის პროცენტის დაფინანსებაზე. 2022 წლის განმავლობაში მიღებული გრანტის მოცულობამ შეადგინა 1,116,964 ლარი (2021: 566,043 ლარი). ჯგუფმა მიღებული გრანტები არ აღრიცხა ფასს სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მიღებულ სახელმწიფო გრანტებთან დაკავშირებით, აგრეთვე კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

ჯგუფის 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასს სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაში, განმარტებით შენიშვნებში არ არის გამჟღავნებული თვითღირებულებით აღრიცხულ საკუთრებაში არსებული საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაცია, როგორც ეს მოთხოვნილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტ (ბასს) 40 „საინვესტიციო ქონება“-ით (პუნქტი 79). აღნიშნული წარმოადგენს ფასს-ების მოთხოვნებიდან გადახვევას, რის გამოც ჩვენი მოსაზრება არის მოდიფიცირებული.

ჯგუფი ფლობს ერთობლივ საწარმოს შპს „გრანელთან“ ერთად. 2022 წლის განმავლობაში აღნიშნულმა ერთობლივმა საწარმომ ჯგუფს 3,358,000 ლარის ოდენობის მომსახურება გაუწია. თუმცა, ჯგუფს არ განუხორციელებია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებიდან არარეალიზებული მოგების ელიმინირება, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ბასს 28 „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“-ის 28 პარაგრაფის მოთხოვნასთან, რომლის მიხედვითაც არარეალიზებული მოგება ერთობლივი საწარმოებიდან რომლებიც აღირიცხება წილობრივი მეთოდით უნდა ელიმინირებული იყოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებიდან. ვინაიდან, ჩვენ ვერ მივიღეთ ინფორმაცია ერთობლივ საქმიანობის მიერ მიღებული არარეალიზებული მოგების შესახებ, შესაბამისად, ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ ამ საკითხის შესაძლო გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, რის გამოც ჩვენი მოსაზრება არის მოდიფიცირებული.

### **ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები**

სარაჯიშვილის ჯგუფის 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 07 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე	ე.ბუბუტეიშვილი
გენერალური დირექტორი	ზ.ბუბუტეიშვილი
მთავარი ბუღალტერი	გ.ბუბუტეიშვილი



საბრენდე სპირტის წარმოების მიზნით მარაგებისა და საწარმოო დანადგარების შესაძენად, ჯგუფმა მიიღო სახელმწიფო გრანტი სესხის პროცენტის დაფინანსებაზე. 2022 წლის განმავლობაში მიღებული გრანტის მოცულობამ შეადგინა 1,116,964 ლარი (2021: 566,043 ლარი). ჯგუფმა მიღებული გრანტები არ აღრიცხა ფასს სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მიღებულ სახელმწიფო გრანტებთან დაკავშირებით, აგრეთვე კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

ჯგუფის 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასს სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაში, განმარტებით შენიშვნებში არ არის გამჟღავნებული თვითღირებულებით აღრიცხულ საკუთრებაში არსებული საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაცია, როგორც ეს მოთხოვნილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტ (ბასს) 40 „საინვესტიციო ქონება“-ით (პუნქტი 79). აღნიშნული წარმოადგენს ფასს-ების მოთხოვნებიდან გადახვევას, რის გამოც ჩვენი მოსაზრება არის მოდიფიცირებული.

ჯგუფი ფლობს ერთობლივ საწარმოს შპს „გრანულთან“ ერთად. 2022 წლის განმავლობაში აღნიშნულმა ერთობლივმა საწარმომ ჯგუფს 3,358,000 ლარის ოდენობის მომსახურება გაუწია. თუმცა, ჯგუფს არ განუხორციელებია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებიდან არარეალიზებული მოგების ელიმინირება, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ბასს 28 „ინვესტიციები მუკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“-ის 28 პარაგრაფის მოთხოვნასთან, რომლის მიხედვითაც არარეალიზებული მოგება ერთობლივი საწარმოებიდან რომლებიც აღირიცხება წილობრივი მეთოდით უნდა ელიმინირებული იყოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებიდან. ვინაიდან, ჩვენ ვერ მივიღეთ ინფორმაცია ერთობლივ საქმიანობის მიერ მიღებული არარეალიზებული მოგების შესახებ, შესაბამისად, ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ ამ საკითხის შესაძლო გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, რის გამოც ჩვენი მოსაზრება არის მოდიფიცირებული.

### ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები

სარაჯიშვილის ჯგუფის 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 07 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

 ბ.ბუბუტეიშვილი

გენერალური დირექტორი



ზ.ბუბუტეიშვილი

მთავარი ბუღალტერი



გ.ბუბუტეიშვილი



SINCE 1884

**SARAJISHVILI**

სარაჯიშვილი

ს.ს. სარაჯიშვილი

მის : დავით სარაჯიშვილის გამზირი N4

ტელ : 032 2 55 44 44

ელ-ფოსტა: [info@sarajishvili.ge](mailto:info@sarajishvili.ge)